№5 1863 წ. მარტის 1



# გუთნის-დედა

ღირსება შეიძლება ეგზ-
ლის თვის
ო ქართველობის სტამბაში.
... საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკვირაში
ერთხელ ... ზედ
ქაღალდის ... გრ-
... მანეთი, ხოლო სხვა-
... მანეთი.

## მამულის მეურნეობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

ფუტკრის შენახვა უ. ბეჟანის მამულში, დილიჯანში.

მიუცილებელი პირობა კეთილის მეურნეობისა ის არის რომ არა რჩებოდეს უყურადღებოდ არც ერთი გარემოებათაგანი, რომელთაგანაც შესაძლოა სარგებლობის გამოღება რაც უნდა მცირე იყოს ეს სარგებლობა. სიმცირე და სიდიდე გამორჩომისა არას დროს არ უნდა იზომებოდეს ცალ-ცალკე, არამედ ერთი მეორის შედარებით. ანუ უკეთ ვთქვათ გამორჩომის ზომად ყოველთვის უნდა იყოს შრომა და ხარჯი დახარჯული იმის მიღებისათვის, და არა მხოლოდ დათვლა ანუ აწევა თვით გამორჩომისა: ზოგჯერ მცირე გამორჩომა უფრო სარფაა, ვიდრე დიდი-ოდესაც ეცირეს მცირე ხარჯიც მოსდომებია. თუ ამ ანგარიშით შევხედავთ ჩვენს მამულის მეურნეობასა, მრავალი საქმე უსამართლოდ არის დატოვებული და მივიწყებული ყურადღებისა, მრავალი იმისთანა საქმე, რომელიც თავისი მცირედის გამორჩომითაც შეიქმნებოდა ნამდვილი წყარო გამორჩომისა. ერთი ამ საქმეთაგანი არის ფუტკრის შენახვა, რომელიც თითქმის უხარჯოთ უშრომოთ აძლევს გამორჩომასა და რომელიც ჩვენში თითქმის არის დატევებული. კახეთი რომ მოიარო და თვალი ადევნო იქაურს მშვენიერ მინდვრებსა, შემკობილსა ათას ფერითა ყვავილებითა, იტყვი თვით ბუნებას დაუნიშნავს ეს ადგილები ფუტკრის საცხოვრებლადაო მაგრამ კაკვირვებით შეატყობ მაშინვე, რომ ათასში ერთს გული არ მიუცდია ამ ბუნებითის და მუქთის წყაროსათვის. რა უნდა იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიზეზი ამ გვარი დაუდევნელობისა? მეტ-ის მეტ ხალხის სიმდიდრეს რასაკვირველია ვერ დაბრალდება: ვინ სიმდიდრე და ვინ კახეთი, ვერც სიძვირე გამორჩომისა იქნება მიზეზად, ამიტომ, რომ ერთის სკის საშვალოთ მოსავლიში ნახევარ ფუთამდის თაფლი გამოუვა და ერთი გირვანქა წმი-ნდა სანთელი—და არავინ იტყვის რომ უზრუნველად მიღება ამოტელა გამოსავა-ლისა იყოს საზიანო; არა. მიზეზი ის არი, რომ არავინ იცის რიგიანათ ფუტ-კარის ხელი, და მის გამოსავალი ამინდ-ზედ არის დამოკიდებული. თუმცა ფუტ-კრის შენახვის შემდეგ ~~საქმეზედ მეტად~~ ყურადღება უნდა მაინც კიდევ სრულად ხელის ადება და ალალ ბედზედ მინდობა შეუძლებელია. მოვა იმისთანა წელიწადი რომ მოუვლელობამ არაფერი ზიანი მის-ცეს ფუტკარსა და მის გამოსავალსა, მა-გრამ იმისთანა დროც შეესწრება, რომ, არამც თუ გამოსავალი თვით ფუტკრებიც სრულად ამოსწყდეს. უეჭველად ჩვენში ბე-ვრს გადახდენია ეს უბედური შემთხვევა-ები, რომ სრულად ხელი აუღიათ ფუტკ-რისაგან, ეს არის სკვდრი გამოუცდელის და უსწავლელის მამულის პატრონისა, რომელიც უნდა იყოს ყველა საქმეში მო-რჩილი მონა ბუნების ძალისა. გამოცდი-ლი და სწავლული მამამულე იმიებს საშ-ვალობასა, რომ თვითონ დაიმორჩილოს ბუნებითი ძალი და მოიხმაროს თავის სასარგებლოდ, ანუ ცუდს ამინდს დაუხვ-დროს იმგვარი წინააღმდეგობა, რომ არა-ფერი ვნება არა მიაყენოს რა. ამისათვის ის ვხედავთ, რომ დაწინაურებულ ქვეყნებში, თუმცა ამინდის სიცუდისაგან არც ისინი არიან განთავისუფლებულნი, არავინ უტე-ვებს ფუტკრის შენახვასა, არავის მიჰყავს სასო წარკვეთილებამდი უამინდობასა და უბედურ შემთხვევასა. ფუტკრის შენახვაში, როგორც სხვა მეურნეობის ნაწილებში მოუგონიათ იმ გვარი საშვალობები რომლითაც მრავალ შემთხვევაში შეიძლება წინააღუდგეს ფუტკრის მტერს სხვა და სხვა გვარ ზიანსა. და ამისთვის უამინ-დობის და სიცხის ძალი. კარგი იქ-ნებოდა მეტად ჩვენი სტატიისათვის და-წვრილებით განხილვა, თუ რა გვარი უბე-დურება ეწვევა ხოლმე ფუტკარსა და რა გვარი მოვლა უნდა რომ გადაურჩეს ამ სიფათსა. მაინც კიდევ აქ უნდა უთოოთ მოვიგონოთ ის გარემოება. ამ საქმისა, რომელიც საჭიროა, რომ შევიტყოთ და დავაფასოთ ღვაწლი დადებული ფუტკრის შენახვაზედ უ. ბეკმანისაგან.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ფუტკრის შენახვას ცოტა ყურადღება და შრომა უნ-და; ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომატებული შრომა და ყურადღება ამ სა-ქმეზედ მომატებულს გამოსავალსაც აძლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველესი პირობა რიგიანი ფუტკრის მონახვისა ის არის, რომ პატრონმა ყოველთვის იცოდეს, თუ რა მდგომარეობაში არიან ფუტკრები, და თურმე შეწუხება ადვილათ შეემლოს მაშინვე შემწეობის მიცემა. ყურადღებით შესწავლა ფუტკრის ცხოვრებისა გვარწმუნებს, რომ ეს საქმე სრულად დამოკიდებულია სკის ანუ ბუდის მომართულობაზედ: თუ სკა ვერ არის რიგიანათ მომართული ჩვენ ვერ შევიტყობთ ფუტკრის გარემოებასა და ვერც მივსცემთ დაჭირების დროს ჯეროვანს შემწეობასა. ჩვენებური სკა სწორეთ ესე უსერხოთ არის მოწყობილი და ამიტომაც ფუტკრის მონახვას ჩვენში არა აქვს ჯეროვანი სარგებლობა. აი ორიოდ სიტყვით დამტკიცება ამ უსერხობისა.

უველაზე დიდი უბედურება ფუტკრისა არის დედის დაკარგვა, იმის სიკვდილი ანუ დასახიჩრება. ამ შემთხვევაში ფუტკრებს ემართებათ სამინელი არეულობა და უწესობა, მუშაობას თავს ანებებენ, რამდენიმე ხანი შფოთით ბზუიან სკის გარშემო, მერე სრულად გამოდიან სკიდამ და აქეთ იქით იქსაქსებიან; ზოგნი უცვივდებიან სხვა თვლებსა და აგდებენ ალიაქოთს სხვა სკებში. დედა დაკარგულს თვალსა იბრიყვებენ უცხო ფუტკრებიცა, შეუცვივდებიან სკაში და ართმევენ თაფლს ერთის სიტყვით თუ იმისთანა თვალს მაშინვე არ უშველა პატრონმა, უნდა სრულად ხელი აიღოს და ეშინოდეს კიდეცა, რომ სხვა სკებსაც ზიანი არ მოეცეს. ამისი წამალი ის არის, რომ პატრონმა იცოდეს: რომელ სკაში და რა ადგილას არის ფუტკრის დედის ბუდე, მაშინვე ამოსჭრას და ჩაუდვას იმ თვალსა რომელსაც დედა დაჰკარგვია. მაგრამ ჩვენებურ კაჯაში ამას პატრონს როგორ შეუძლიან მიიტყოს, თუ სად არის დედის ბუდე, ან ისე როგორ ამოიღოს, რომ არ შესძრას და შეაშფოთოს მთელი თვალი? ჩვენმა რაკი თაფლს ამოიღებენ მაშინვე გაჭრილისენ სკასა და პატრონმა არ იცის მთელ ზაფხულში იუ რა არი სკაში და რა არა; ამიტომაც ძველი უწესო მემახვეს მაუდგება ჩვენში სრული ამოწყვეტა სკისა.

კიდევ მოვიყვანოთ მაგალითად კრაზანის ჩაჯდომა სკაში. ამ შემთხვევასაც მოსწრება უნდა თვით დასაწყისშივე: მაშინვე უნდა ამოიჭრას ის ადგილი, სადაც გაკეთებია ბუდე კრაზანასა და ამისათვისაც საჭიროა რომ პატრონმა იცოდეს სად რა არი და ყოველთვის ზედამხედველობა ჰქონდეს ფუტკრებზედა, და ეს სრულად შეუძლებელია ჩვენის დახურვილი და გაგლესილი სკისათვის. ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი, სადაც მიუცილებელია შემწეობის მიცემა ფუტკრისათვის და საიდამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰჩანს უხერხობა ჩვენებურის სკისა. ეს უხერხობავე აქვს ამ სკასა ყოველსავე დანაშთენს შემთხვევებში, რომელნიცა არიან: სისუსტე ანუ სიცოტავე ფუტკრის თვლისა, სხვა და სხვა გვარი სნეულობა, უნაყოფობა თვლისა, ტყუილი დედიანობა, სიცოფე ქურდობა და სხვა. ყველა ამ შემთხვევებში საჭიროა სახერხო მომართულება სკისა თორემ პატრონი ვერაფერს შეეწეობას ვერ მისცემს ფუტკარსა. ამასთან სკა საჭიროდ უნდა იყოს თაფლის ამოჭრისათვისაც.

რაც ჩვენი სკებია, სხვა ქვეყნებშიაც ადრე ისეთი იყო; ზოგან ჰქონდათ ორ გვარის ერთი ერთმანეთზე დახურვილსა. ზოგან იყო მთელი გამოფუღრუღული კუნძი, ზოგან ვიწრო გოდორი ნაკლულოვანება ყველას ისივე ჰქონდა, როგორც ჩვენთა აბგარიცხავს. ამ ბოლოს საუკუნეში საკუთარი ყურადღება მისცეს ევროპაში ფუტკრის შენახვასა, როგორც სხვა დანარჩენს გამოსავლის წყაროებსა, რადგანაც საკმაო თან და თან გამრავლდა და სარჩოს მოვნე მეფიქრნე ადრინდელზე მეტი. ამასთან, ფუტკრის მოვლა იმისთანა საქმეა, რომ გამოსავლის გარდა, მრავალ მოიზიდავს და გაართობს კაცსა, რომელიც ამ პირუტყვის ცხოვრებაში და მის გასაკვირველ რიგში და დაწყობილებაში ჰხედავს ბუნების კვალსა და გამგებლობის ყოვლის მძლეგანგებლობისა. ბევრს ჭკვიანს და მდიდარს კაცს გაუტარებია თავის სიცოცხლე ფუტკრების ცქერით და იმათი ცხოვრების შესწავლა გაუხდია თავის ყოფა ცხოვრებათ. ამ შესწავლამ და დაკვალიერებამ გვიჩვენა მრავალი საშუალობა, რომლისშეწეობითაც შეგვიძლიან ჯეროვნად მოუაროთ ფუტკრებსა და მივიღოთ მათგან შესაბამი, გამორჩომა. აქედგანვე შევიტყობთ რომ ძველებური წესი ფუტკრის შენახვისა არის მეტად ნაკლული და რომ ამ ნაკლულებისაგან წარმოსდგება ყოველივე სიძვათი [illegible] შენახვაში.--ფუტკრის ცხოვრების შესწავლას ზედ დაჰყვა სკების უკეთესს მდგომარეობაში მოყვანა. რადგანაც ეს არის საფუძველი საქმისა. ამ ბოლოს დროს მოიგონეს მრავალ გვარი სკები ძველი სკების მაგივრად, ჩვენ მოვიხსენებთ მხოლოდ იმათ, რომელნიც არიან შემოტანილი ჩვენ ქვეყანაშიაც.

ამათში პირველი ადგილი უჭირავს პროკოპოვიჩის სკასა. პროკოპოვიჩი იყო რუსეთის სახელოვანი მეფუტკრე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ფუტკრის მოვლასა, მოიგონა მეტის მეტად ხერხიანი სკა და დასწერა სრული დარიგება ფუტკრის მოვლაზე. ჩერნიგოვის გუბერნიაში თავის მამულში ამან გამართა საკუთარი შკოლა სადაც ასწავლიდა თავის მოგონილ სკის კეთებასა და საზოგადოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკრის მოვლასა, ამ წყაროდგან გამო-სულმა მოწაფეებმა მოსდეს მთელს რუსეთში პროკოპოვიჩის მოგონილი წესი ფუტკრის შენახვისა და სკების შენებისა, და ყველგან პატივით არის მიღებული ეს წესი, რადგანაც ამაზედ უკეთესი არსად არის მოგონებული. თვით ჩვენ საქართველოშიაც სამს მამულის პატრონებსა (*) ჰყავთ პროკოპოვიჩის მოწაფეები და იმის წესზედ ინახავენ ფუტკრებსა.

ი. ს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

აქ უნდა შევნიშნოთ რომ ენდროს თესვაში გამოცდილი კაცნი ამტკიცებენ ბევრის გამოცდილებითა და გამოკვლევითა, რომ რაც უფრო ბევრი პატივი ექნება ენდროს მიწასა, იმდენი უფრო კარგი მოსავალი მოდის; მაგრამ ყაიდასეი არ უნდა გადაჭარბოს.

ავნიონში შუათანათ გამოდის მოსავალი. ერთს დესეტინას (ორის დღის მიწას) სამის წლის უკან შემდეგომ დათესვისა **200** და **300** ფუთამდინ. მაშინ როდესაც ჩვენი შემდეგომ ხუთის წლისა ამოდენავე ალაგს გამოდის ხოლოთ ასი ფუთი. რას უნდა მივაწეროთ ეს ამოდენა განსხვავება თუ არ იმასა, რომ გარდა მიწის კარგად მოვლისა--პატივსაც თავის რიგზედ აძლევენ ავინიონში და კიდევ ამასა, რომ პატივის მიცემა არის დიდათ საჭირო და სასარგებლო ენდროს მიწებისათვის, მე მგონია რომ ახლა დრო იქნება ჩვენ მოვიხმაროთ ის სასარგებლო ღონისძიებები, რომელიცა სარგებლობა წმინდათ დამტკიცებულია გამოცდილებაებით და მეცნიერების გამოძიებებით.

ნესვის ცვლა. ჩვენში ენდრო ითესება ყოველს წელიწადს ერთსა და იმავე მიწაში.

მინამ ნიადაგი არ მოიღლება და მალიან ნაკლებ მოსავალს არ მოიცემა.

იმ ალაგებში, სადაც ენდრო დიდი ხანია მოჰყავთ, შენიშნული აქვთ გამოცდილის ყურადღებითა რამდენს დროსაც შეუძლებს მიწის ნიადაგი ენდროს მოსავლისა--ასე რომ ამ მოსავალში მეპატრონე ზარალში არ იქნეს. მაგალითად, ლარბანდში მუდამ რომ ითესებოდეს ენდრო ერთსა და იმავე

(*) კნიაზს ი. ბაგრატიონ მუხრანსკისა გორის უეზდში, კნიაზ [illegible] და [illegible] ბეჟანს ლილოეთში.

ალაგში ოცს წელიწადსა სძლებს მიწა რიგიანის მოსავლით; ქუბაში **12** წლის შემდგომ აღარა სთესენ ერთსა და იმავე მიწაში ენდროსა ამიტომა რომ ამ ხნის შემდგომ მიწას იმდენი ენდრო აღარ მოჰყავს რომ პატრონის ხარჯს აუვიდეს. ამ განსხვავების მიზეზი დარბანდისა და ქუბის მიწებში არის. ღონისძიება, რომელიც იხმარება მიწის შემუშავებისათვის მიწის აფხვიერება და გაკეთება სჯობიან ბევრით ბარითა გუთნისაგანა.

რაც უნდა იყვეს მაინც ერთი ღონისძიებაცა და მეორეცა ენდროს შემუშავებისათვის არ არის ისეთი კარგი, როგორიც შეჰფერობს რიგიანს და კონიერს მეპატრონესა ის მიწები, სადაც ყოველთვის ენდრო ითესება, ამას გარდა რომ მოსავალს ყოველთვის კარგს არ იძლევა, სამღებრო ფერსაც თანდათან აკლებ ენდროსა, ეს საბუთი მასუკან უფრო სარწმუნოა რაც გამოცდილმა სწავლულმა და ენდროს მოყვანის მცოდნემ გრაფ. გასპარენმა გამოიძია.

ავნიონის ენდრომ, როგორც გამოიკვლიეს ამ უკანასკნელს დროში, მოიკლო სამღებრო ფერი **20** თუმცა კარგათაც უვლიან და პატივსაც თანდათან უმატებენ. ეს ფერის დაკლება იქ უფრო დაეტყობა ხოლმე, სადაც ერთსა და იმავე მიწაში მალ--მალ ითესება ენდრო; და სადაც **6** და **12** წელიწადს უკან ითესება იქ სრულებით არ ეტყობა ფერის მოკლება.

ეს მოვლინება, როგორათაც ახალი შეხედულება ნიადაგის შერმადგენელს ნაწილებზედ, რომელიც არის გამოსაყენებელი ენდროსათვის, უჩვენებს დღეს მნიშვნელობას თესვის ცვლისას, რომელიც უფრო, გაახანგრძელებს ენდროს მალასა და მოსავალსა.

ბუნების კანონი ერთი და იგივე არიან ყოველს მხარესა: რაც ენდროს ავნიონში დაემართა, ის დღე მოელის დარბანდის ენდროსაცა. ესლავე იმისი მექარხნეებისაგან რომ აქაურს ენდროს ყოველს წელიწადს თანდათან უფრო და უფრო აკლდება სამღებრო ფერი და კარგი ღირსება; მაგრამ ჯერ ამ ხმებს არა აქვს იმოდენა განვლენა და მნიშვნელობა ვაჭრობაში, რომ მეპატრონეებს მიაღებინოს ამ საგანზედ ყურადღება და რიგიანათ მიაყოფინოს ხელი ენდროს შემუშავებაზედ, რომელიც აძლევს ამათ საზრდოსა და შეძლებასა.

მორწყვა. ერთი უპირველეს საჭიროებათაგანი ენდროს მოსვლისათვის არის-თავთავის დროზედ რიგიანათ მორწყვა. თუმცა მცირია, მაგრამ არის იმისთანა ალაგები, სადაც არ უნდა ენდროს მორწყვა რადგანაც წვიმები და ნამი ძალიან ხშირია, მაგალითად, კავარის მხარე დარბანდისა, მთები ციხეს იქითა, სოფლები ყუბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეზდში, ხეიქური და იმამ--ეული--კენტი; მაგრამ ენდროს ფერსვი მალიან ნაკლებათ მიდის, ასე რომ მეპატრონე სარგებლობს ხოლოთ თესლითა, რომელიც ყოველთვის კარგა--ბლობათ მოდის.

ყოველგან, სადაც კი ენდრო მოჰყავთ იმ მხარეებში თუ მიწას სარწყავი წყალი არა აქვს მეპატრონები აგრე რიგათ ყურს არ უგდებენ. თითქმის მთელი ყუბინისა და სამურჩაის წყლები სულ სარწყავში გაჰყავთ რუებითა, მუშქარის სამალალოში ყუბის უეზდში, ერთის სიტყვით მდინარები, ნაკადულები, წყაროები, მთის წყლები სულ სარწყავში გაჰყავთ ენდროს პატრონებსა და ხოლოთ იქ არ გაჰყავთ სარწყავში წყალი სადაც არ შეიძლება, თორემ სხვაგან სულ წყლები რუებათა აქვთ ნაგცევი. ბევრს ალაგებში ერთის დესეტინის ორჯერ მორწყვისათვის აძლევენ მეპატრონები რვა მანეთსა და ეს ფასი სრულებით არ ემძიმებათ ოღონდ კი თავის დროზედ მოესწრას მეპატრონეს მიწის მორწყვა თორემ უფრო მომეტებულს ფასსაც არ დაჰზოგავს, ხანდახან თავის სარწყავს სიცოცხლესაც ზედ ადებენ ხოლმე.

ენდროსა, შემოსვლამდინ, ორჯერა სწყამენ, მეირათ თუ ვინმე სამჯერ მორწყავს; ამაზედ მეტათ არ რწყამენ, თუნდა მალიან უხვიც რომ იყვეს წყალი --ეშინიანთ რომ ენდროს მირი არ მოალპესო. მორწყვის დრო არის დამოკიდებული სარწყავის წყლის მოვნაზედ, მაგრამ შემოღებული უფროა წყალით ენდროს მორწყვა გასულს მაისსა და მარიამობის თვეში, ორსა, სამსა და სხ. წლისა და მირის ამოღებამდინ აპრილსა და მარიამობის თვეში. მაგრამ დარბანდშიკი ზამთარში ჰრწყამენ დანეხვის შემდგომ.

საენდროვე მიწებს ამ გვარათ ჰრწყამენ: პირველს წელიწადს გუთნით, შემუშავების დროს, შეუგდებენ ხოლმე მიწაში წყალსა და მალიან გაათქორებენ. მეორესა და შემდგომს წელიწადებში როდესაც კვლები დაკეთდებიან, ამ კვლებს შაუგდებენ წყალსა რუებიდამ, რომლებიც არის გაყვანილი საენდროვე მიწებში; აქედამ რაკი გასთქორამს და გაძღება მიწა წყლითა, წყალი გადის ბოლოში და ერთობა ისევ რუებში, მაგრამ მალიან მეირათ კი მოხდება რომ წყალი სარწყავსა რჩებოდეს.

მორწყვის დროს მიწის მრწყველი უნდა ცდილობდეს რომ სარუვეებში წყალი არ შეგუბდეს ცვრეთვე თვითონ დათესილს მიწებში არ დაგუბდეს წყალი, თორემ მეტის მეტი სინოტვისაგან მალიანა ჰსდება ენდროს მირი ლპება და სრულებითა სდება.

სწორეთ სთქვას კაცმა, ნანდვილათ არ ვიცით თუ რადროს ან რამდენჯერ არგებს მორწყა ენდროსა, ამის პასუხი მაშინ შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელება, რომლისაც კაცი თითონ აძლევს ფერსა და გამოსვლის ჟამსა, მაგრამ ვგონებთ ეს წესი რომელიც მეჩოღრებულია აქა, ამ ადგილების მესახვრეობისა იყვეს დამოკიდებული კარგს და ჩინებულს გამოცდილებაზედ; მაგრამ ეს კი უნდა შევნიშნოთ, რომ ენდროს მინდვრის კვლის ზოლებზედ სადაც წყალი უფრო კარგათ ჰსვდება, სჯობიან სხვა ენდროსა, რომელიც იმავე კვლებში სთესიან. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წყალი უთუოთ უნდა ყველგან საჭიროთ ჰსვდებოდეს და ამისაგან რასაც თესლი ხმარობენ უფრო მომწიფებული წყალი უნდა ენდროსა.

თესვა ენდროს თესლის ორს წლამდის ინახვენ ამოსვლის ძალით, ხოლო მაშინა თუ ჰგორგვათ ფერადებით ინახამენ მშრალს ალაგსა ჰკარგავს დაუკარგავათ ამომსვლელი თესლი ამითი იცნობა, ის უნდა იყოს ბნელი მოწვულის ფერის ხმელი, მძიმე, ობმოუკიდებელი. რომლისაც მეპატრონეები ხეიდულობენ სათესლესა ამ ქვეყანა შინ ჯამშენ: რამოდენსამე თესლს ჰყრიან წყლით საფსე ჭურჭელში, თუ მესამედზედ მეტი მოიტივტივა წყალზედ, ზედაპირზე მაშინ ისსათესლეთ სრულებით არ ვარგა. მაგრამ ეს კიდევ საკმაო არ არის ენდროს სათესლეს ცნობისათვის: მეპატრონემ ესეც უნდა იცოდეს თუ საიდამ არის მოტანილი სათესლე, ასე რომ ამისი ცოდნა თითქმის უფრო საჭირობა მეპატრონისათვისა. კალბალაი გურეინმა, რომელმაც პირველათ დაიწყო ამ მხარეს თესვა ენდროსი, ჯერ დიდს ხანს ვერ მოაშენა აქ ეს მცენარე, მინამ სათესლე სპარსეთიდამ მოჰქონდა, მერე სცადა აქაური თესლი, რომელიც გამოართო ანდრეევკის სოფლებსა და ამ თესლმა ის მალიან ივარგა რომ თითონ ჰუსეინც არ მოელოდა. მას აქეთ დაიწყეს ენდროს თესვა აქაურმა ხალხმა გარეულის ენდროს თესლითა, რომელიც მოაქვანიან ანდრეევკის სოფლიდამ.

დათესის დროს არაჩვეულს დონისძიებას არა ჰხმარობენ ენდროს ამოსვლის დასაჩქარებლათ. ავინთონში ენდროს სათესლეს აქეთ ხოლმე ერთ-ორიოდე კვირისა ნოტიოს ალაგასა, ან არა, და ერთი დღე და ღამე ალბობენ წყალში. ჩვენში რაც თესვაში არა, ამისათვის არაფერი დონისძიება არა იხმარებარა, თავის დროზედ ამოსვლას არც ეს უშლის. კასპის მხარეებში, როგორც რომ ჩამოჰქერის თოვლსა ყველა მაშინვე აშურებს რომ დასთესონ ენდრო. თესლს მოჰფენენ ხოლმე თოვლზედა და ახლე დაუფარავათ დაანებებენ ხოლმე თავსა გაზაფხულამდინა, მინამ მიწა ცოტათი ემანც არის არ მოშრება. ეს დონისძიება ამით უფრო კარგია რომ თოვლზედ უფრო თანასწორეთ დააჭნევს კაცი თესლსა და ამისგამო უფრო ცოტა თესლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკარგება; მეორეც კიდევ ესა, რომ მთელს ზამთარს სველათ არის თესლი და გაზაფხულზედ, რამწამს ერთი ბეწვა სითბო დაადგება, მაშინვე გაღოჯდება და ამოვა; გარდა ამისა არ არის საშიში რომ წახდეს რისგანმე: მალიან სიცივე აქ არ იცის და თაგვი არ მიუდგება. მაინცა და მაინც თუ პირველსავე თოვლის დადებაზედ ვერ მოისწრებენ დათესვას, გაზაფხულამდინ მაინც არავინ ინახამს თესლს დასათესავათა, ამიტომა რომ ეშინიათ მთლათ ერთიანათ სათესლესა და შრომის წახდენისა, რადგანაც ამ დროს აქეთ მხარესა ქვენა--ქარი ჰქრის ხოლმე, რომელიც მალიან აშრობს მიწასა და უშლის თესლს ამოსვლასა.

ენდროს აქა ზოგი კვალ--კვალა სთესავს და ზოგი ისე უბრალოთ. მეორე ღონისძიება უფრო შემოღებულია იმათში, ვინც ბევრსა სთესავს და სადაც სათესლე მცირი არ არის -- რადგანაც უბრალო თესვაში რაც გინდა მარჯვე მთესველი იყოს, მაინც კიდევ ბევრი თესლი იკარგება ფუქათა, პირველი ღონისძიება იხმარება იქა, სადაც უფრო ცოტასა სთესენ და სადაც აქვთ კვლები დაკეთებული. ისე--უბრალოთ დათესვის დროს როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თესლსა მიწას არ აფარებენ; როდესაც გაზაფხულზედ დათბება, მაშინ დაუწყებენ მიწას ფარცხვასა. ეს იარაღი ფარცხი იხმარება ყუბაში თესლის დასაფარავათა, გორასებისა და ბელტების დასაფშვნელათა და ხნულის გასასწორებლათა. დარბანდის ფარცხი არის იმისთანა, რომელიც თითქმის მთელს მხარეს (საქართველოშიაც) იხმარება.

როდესაც კვლობით ითესება, მაშინ საკვლე ალაგებზედ გააბამენ ხოლმე **1,-2** ანუ **3** არშინის სიგძეზედ თოკსა და ამ თოკებს შუა აპნევენ თესლსა, ასე რომ მარცვალსა და მარცვალს შუა ოთხი ვერშოკი ალაგი რჩებოდეს, მასუკან რკინის ანუ ხის ფოცხით ჰმალამენ მიწაში და თუ საჭიროა კიდეცა რწყამენ.

აქ დესეტინაზედ ცხრას ანუ ათს ფუთს ენდროსა სთესენ, ეს მეტი ნაკლები თესლის ხარჯი არის დამოკიდებული კვლებს შუა დაგდებულს ალაგებზედ და კვლების სიგანეზედ. როდესაც მამულის ამღები ურიგდება მამულის პატრონსა, მაშინვე ანგარიშში აგდებს თესლსა რაც მიწას მოუნდება, და რადგანაც ეს ზომა დაუდგრაგია და რამოდენსაც კვლებს გამართამენ, იმოდენათ იცვლება; ამისგამო თუ წინდაწინ არა აქვს ზომა გადაჭრილი, მასუკან ხშირათ მიწის პატრონსა და მიწის ამღებს უსიამოვნობა და ჩხუბი აქვთ ხოლმე.

ენდროს ალაგებაზედ მუშაობა პირველს წელიწადსა. პირველსწელიწადს მალიან ყურადღება აქვთ და მალიან კარგათაც

ვლიან მეპატრონეები საენდროებსა. აპრილში მარგლიან უბრალო მავნებელის ბალახიდამ, ამ ბალახსა სჭრიან პატარა ნამგლის მსგავსის დანებითა, და რომელიც იმისთანა ბალახია რომ მირებზედ ეხვევა ენდროსა, ამ გვარს ბალახს ხელითა ჰგლეჯენ. მირიანათ მოგლეჯულს ანუ მოჭრილს ბალახს იქავ ალაგობრივვე სწუამენ. მეორეთ კიდევ მარიამობის თვეში ჰმარგლიან ანუ სთოხნიან. შემდგომ მარგლისა ანუ თოხნისა თუ ორმოები არის გაკეთებული, მაშინვე ასწორებენ და რწყამენ. თუმცა მარგლაზედ დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს პატრონსა, მაგრამ აქ ისე ყურმივლებული არიან, რომ პირველსავე წელიწადს დათესვის დროსვე მიანებებენ ხოლმე ბალახს თავსა, რომ ბალახში თუ კარგათ არ მოსმებნეთ ვერ იპოვნით ენდროსა. ეს ყურის მიგდება უცოდნელობით სრულებით არ მოსდით მეპატრონებსა, მაგრამ ენდროს კარგი და გამოცდილი მუშა უნდა როდესაც კაცი არ იშოვება დაიჭერენ ხოლმე ყისზილბაშებსა, რომელთაც საქმე სრულებით თითქმის არ იციან და ძვირათაც დგებიან.

პირველის წლის გასულს ღვინობისთვიდამ დაწყებული დაუწყებენ ენდროს სწორებასა,— სადაც ენდრო უბრალოთ არის დათესილი იმ ალაგებში თუ ენდრო ზოგან სქლათ არი ამოსული და ზოგან თხლათა მაშინ სქელიდამ იღებენ და რგამენ ცარიელს ალაგებშია, მასუკან დათესილს ალაგებს აკეთებენ კვლებათა და ღარებიდამ იღებენ მიწასა ბარითა და აყრიან კვლებსა ენდროს დასამალავათა. მიწა სამს ვერშოკზედ მეტი არ უნდა დაეყაროს.

ეს საქმე დაიწყობა ხოლმე ოკტომბრიდამ და სწარმოებს მთელს შემოდგომას და ზამთრის ნაწილსა, ვიდრემ ყინვები დასდგებოდეს. კვლებზედ მიწის დაყრა უთუოთ საჭიროა ყველა მეპატრონისათვის, ამიტომა რომ ახალი მიწა ზამთრის სიცივისაგან მალიან ბლვიერდება და ენდრო ამ მიწაში უფრო სუმბუქათ და კარგათ იკეთებს ფესვსა, ზანდახან დააგდებენ ხოლმე მეპატრონეები მიწის დაუყრელად კვლებსა გაზაფხულამდინ; მაგრამ ეს მალიან ძვირათ მოხდება ხოლმე და ისიც ამიტო უფრო, რომ ვერ მოისწრებენ ხოლმე წინათ ამ საქმესა. თუმცა ენდრო ზამთარს კარგათ იტანს და არაფერს ვნებას არ მიიღებს ხოლმე; მაგრამ გაზაფხულზედ, კვლებზედ დაყრილი მიწა ქვენა ქარისაგან ისე გამოშრებიან ხოლმე, რომ არ მოდის იმ მდგომარეობაში რომელიც საჭიროა, ენდროს კარგათ გაკეთებისათვის.

მუშაობა მეორეს წელიწადსა. მეორეს წელიწადს, აპრილში ანუ მაისში ჰმარგლ-

იან და რწყამენ ენდროსა; აგრეთვე მარიამობის თვეში ჰმარგლიან ხოლმე, ამიტომა რომ მუშა ხელი ძალიან ძნელი საშოვარია. შემოდგომაზედ როგორც პირველს წელიწადსა, ხოლო 4 ვერშოკით უფრო სქლათ აურიან კვლებს მიწასა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენში ენდროს არა სთიბენ საქონლის საჭმლისთვისა, თუმცა ამის თივას ნოყიერობით ევროპაში უდრიან ლიუცერნას და ჩინებულს წმინდა სათივის თივასა. ჩვენში ენდროს პატრონები ამბობენ, ვითამც ენდროს ბალახი ღებამდეს საქონელის მჯალსა და ხორცსა საზიზღარს გემოს აძლევსო. ამისგამო აქ ძალიან მცირათ აჭმევენ საქონელს ენდროს ბალახსა და სტოვებენ ისე მინდვრათა, სადაც ისა ლპება და აპატრონებს მიწათა.

მუშაობა მესამეს წელიწადს. მესამე წელიწადსაც ისევ ის მუშაობა უნდა რაც პირველსა, მაგრამ ერთხლის მეტათ მცირათ იმარგლება ენდრო. მარიამობის თვესა და ენკენისთვეში მინამ კვლებს მიწას დააყრიდნენ, მინამ იწყებენ თესლის აღებასა. მეორეს წელიწადსვე ბევრი ენდრო გამოიღებს ხოლმე თავსა, მაგრამ მოსავალი ისე ნაკლებათ გამოდის, რომ ხარჯათ არა ღირს. მეპატრონეები მაშინათვე შეიტყობენ ხოლმე თესლის გამოსავალიდამ თუ ძირის მოსავალი რა იქნება; რაც ნაკლები გამოუვა თესლსა, იმდენი ძირის მოსავალიც ნაკლები იქნება და რაც აღრე გამოიღებს ენდრო თავს, იმდენი ცუდი მოსავალი მოვა ძირსა.

თესლის აღება. უფრო მესამეს წელიწადს დაიყრება ხოლმე, როდესაც სათესლე თავები გაშავდებიან, უთუოთ შემოსულია თესლი და მაშინ უწყებენ შიგ ძირში ჭრასა და იქვე კვლებზედ აწყობენ რამდენსამე დღეს გასახმობათა და მინამ გახმებოდეს მალმალ უცვლიან ხოლმე გვერდსა. როდესაც თავები ადვილათა მორდებიან ღეროსა, ეს იმის ნიშანია, რომ თესლი კარგა გამხმარია და მაშინ უწყებენ ლეწვას საკალოზედ კევრებითა, მასუკან ანიავებენ და წმინდა მარცვალს ჰყრიან ტომრებში და დარჩენილს ბალახს (ბზეს) სწვენ ან ისევ მიწებში გააქვთ.

ენდროს თესლის მოსავალი არის დამოკიდებული სხვა და სხვა შენთხვევაბზედა და ხანდახან ისე უცებ შეიცვლება, რომ პატრონი სულ ცარიელზედ დარჩება ხოლმე. უდროვოდროთ დიდხანს ავდრები, აგრეთვე გვალვა ძალიან ახდენენ თესლსა; მაგრამ ყველაზედ უფრო ძრიელ ავნებს კალი და ქვენაქარი, რომელიც ახმობს და ანტვრევს ენდროს სათესლე ღეროსა. შუა მოსავალი აქა მესამეს და მეოთხეს წელიწადსა არის თავნი და სარგებელი სწორი, ესეიგი ერთს ფუთზედ ორი ფუთი გამოდის.

ყაფარის მხარეს დარბანდში, სადაც უმეტესი შამოსავალი არის თესლიდამა, აქვს თესლს გამოსავალი ექვსი წვეა.

მუშაობა მეოთხეს წელიწადსა. მეოთხეს წელიწადს გნდროს არაფერი არა უნდა რა, გარდა მორწყვისა. მარიამობისთვეში იღებენ თესლსა; შემოდგომაზედ აღარ აერიან კვლებს მიწასა, ამიტომა რომ მესუთე წლის დამდეგს უნდა ენდროს მირი ამოიღონ.

(განგრძელება იქნება.)

---

შინაურის ხიზილალის გაკეთება.

თუ რომ გაქვსთ თქვენ წყალში გაკეთებული ოხხი, ან თუ საფიჩხული, ან დგესართ ტბის ან მდინარის პირზე, სადაც შესამლებელია რომ იყოს ბევრი თევზები, მაშინ შეგიძლიანთ იქონიოთ ჩინებული ხიზილალა, თითქმის ზუთხის ხიზილალაზედ კარგი, ხიზილალა. ეს იქნება სხვა და სხვა ნაირი: მსხვილ--მარცვლიანი და შეზელილი,- 1) მსხვილმარცვლიანი ხიზილალა. უნდა პირველად (ხიზილალას) ქვირითს გადაეძროს ტყავი და მოეცალოს სისხლი, შემდგომ ჩაიდვას ბოჩკაში ან ქოთანში და დამარილდეს, ასე რომ თითო გირვანქა ხიზილალას უნდა მოეყაროს თორმეტი მისხალი მარილი. უნდა იყოს მარილში ერთ საათს, შემდგომ უნდა ამოაწყო ცალკე საცერში, ამისათვის რომ დაიწყოს წვეთა და გამოსვლა გამდნარმა მარილმა, ასე რომ მარცვლები ხიზილალისა კი არ ჩამოცვივდენ. ამისშემდეგ ჩააწყობთ კიდევ ქოთანში ან ბოჩკაში და მაგრათ პირს მოჰკრამთ.

2) შეზელილი ხიზილალა. აგრეთვე პირველად იმგზით უნდა გააძრო ტყავი· და მოაშოროთ სისხლი· შემდგომ უნდა ჩააწყოთ მარილ წყალში ნახევარ საათს და მალმალ უნდა თითით შინჯო ხომ არა სდება რმესავით, როდესაც ნახავთ რომ რმესავით არა სდება, მაშინვე უნდა გადმოყაროთ საცერში, რომ გაიწუროს. შემდგომ უნდა გაწურული ხიზილალა ჩაასხათ პარკში და გაწუროთ მაგრათ რომ სრულებით მარილი გამოვიდეს, გაწურული ეს ხიზილალა უნდა ჩააწყოთ ბოჩკაში ან ქოთანში და მაგრათ პირს დაუცოთ ასე რომ ჰაერმა შიგ არ იმუშაოს. დიდი ოსტატი და გამოცდილი კაცი უნდა იყოს რომ შეიტყოს, ზუთხის ხიზილალა არის თუ უბრალო თევზისა, თორემ მნელი გასარჩევია.

Одобрено цензурою. Тифлисъ. 1 марта 1863 г.